



სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 5 22 0000891783



10/08/2022

შპს სკოლა ჩირაღდანის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2022 წლის 04 აგვისტოს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს სკოლა ჩირაღდანის დირექტორის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის № 848563) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 ივლისის № 787505 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს სკოლა ჩირაღდანისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2022 წლის 09 აგვისტოს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს სკოლა ჩირაღდანის (ს/კ: 216342330) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №848563).
2. სააპელაციო საბჭოს 2022 წლის 10 აგვისტოს №890744 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) სარჩელის
შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ფარცვანია კახაბერ

